ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01250971432**
თარიღი: **07/04/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს

თეიმურაზ ბოლოთაშვილს

ბატონო თეიმურაზ,

2025 წლის 3 აპრილის N 17-0125093166-16 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ავთო ვარაზის ქუჩა N22 ბ-სა და N22 ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.14.01.001.190 ; 01.14.01.001.403) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის (AR11084453) შეთანხმების საკითხს, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ შეისწავლა წარმოდგენილი პროექტი და სატრანსპორტო დოკუმენტაცია. დოკუმენტაცია შეიცავს ხარვეზებს:

- დაგეგმილი არქიტექტურული პროექტის საპროექტო გენგეგმა და წარმოდგენილი, შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა არ შეესაბამება ერთმანეთს (სხვაობები: საქვეითო და სამანქანო სავალი ნაწილის კონტურები/პარამეტრები, სამანქანო სავალი ნაწილის შესასვლელ-გამოსასვლელის პარამეტრი). შესაბამისად, დაგეგმილი არქიტექტურული პროექტის საპროექტო გენგეგმა და საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა სრულად შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან. ასევე, საპროექტო გენგეგმაზე, სამანქანო შესასვლელ-გამოსასვლელ მონაკვეთზე, საქვეითო და სამანქანო სავალ ნაწილზე მითითებულ იქნას გაბარიტული ზომები, რათა იდენტიფიცირება მოხდეს საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემასთან.
- წარმოსადგენია სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებული მშენებლობისა და სამუშაოების წარმოების პერიოდში არსებული სიტუაციის **დროებითი სქემები** შესაბამის თანხმობის წერილებთან ერთად.

დამატებით გაცნობებთ: დროებითი და დასრულებული ვარიანტის სქემა(ები) წარმოდგენილი უნდა იყოს ერთიანი დოკუმენტის სახით (.pdf) შესაბამის თანხმობის

ყველა წერილთან ერთად.

შესაბამისად, სსიპ-ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, ამ ეტაპზე, მოკლებულია პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობას. სააგენტო პოზიციას დააფიქსირებს ხარვეზების გამოსწორებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

ნინო ბაგაშვილი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

